საიდ. №76399/03

IR 1194593

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №56-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ჭიჭინაძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2015 წლის 19 მაისის N3-109 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ფეშენ უან ტელევიჟენ ლლკ“ (FASHION ONE TELEVISION LLC) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №56-03/15), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 08 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №304/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „One FASHION” (საიდ. №76399/03, IR 1194593) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (38-ე კლასი).

„საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 08 იანვრის №304/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „ONE FASHION" მსგავსია კომპანიის „ფეშენ უან ტელევიჟნ ლლკ." (Fashion One Television LLC.) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა „FASHION ONE" (რეგ. N25508, რეგ. თარიღი: 12/12/2014). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნების დასახელებები აღრევამდე მსგავსია. სიტყვათა შემადგენლობა დაპირისპირებულ ნიშნებში იდენტურია და მხოლოდ გადანაცვლებულია მათი ადგილები, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 38-ე კლასის მსგავსი მომსახურებისათვის. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს არსებით განმასხვავებლობას არ სძენს სასაქონლო ნიშანზე არსებული გამოსახულება, ვინაიდან მთლიანობაში სასაქონლო ნიშანში დომინანტ კომპონენტს წარმოადგენს სიტყვიერი ნაწილი რომელიც, როგორც აღინიშნა მსგავსია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დაპირისპირებული ნიშნების მომსახურების ჩამონათვალი 38-ე კლასის მიმართ მსგავსია, რაც ამყარებს ნიშნებს შორის მსგავსებას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული მომსახურების სრული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანზე „FASHION ONE" (რეგ. N25508), განხორციელდა უფლებების გადაცემა, შესაბამისად განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მანაცემთა ბაზაში 2015 წლის 19 მაისს დაფიქსირებული ცვლილების შესაბამისად, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანზე „FASHION ONE“ (რეგ. N25508) უფლებები გადაეცა აპელანტ კომპანიას „ფეშენ უან ტელევიჟენ ლლკ“ (FASHION ONE TELEVISION LLC). აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას, შესაბამისად, ადგილი აღარ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ფეშენ უან ტელევიჟენ ლლკ“ (FASHION ONE TELEVISION LLC) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 08 იანვრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ N304/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „One FASHION” (საიდ. №76399/03, IR 1194593) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

მ. ჭიჭინაძე